დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს მარნეულის კოლეჯის მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (საექთნო განათლება) განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრი: თათია გივიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს მარნეულის კოლეჯი**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საიდენტიფიკაციო კოდი: **234157498**
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

■ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

☐ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 26 თებერვლის MES 6 24 0000213441 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრი - თათია გივიშვილი) დაევალა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილი „ე.ა“ და“ე.ბ“ კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით, ვიზიტის განხორციელება შპს - მარნეულის კოლეჯში, 2024 წლის 11 მარტს.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო განათლება	90	49	10	-

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 5.1.2.1 - იმის გათვალისწინებით, რომ საგანაგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების აქტით (გაცემულია 18.12.2023) გამოვლენილი შეუსაბამობის, კერძოდ, საავარიო კარის გაღების მიმართულების შეცვლის საკითხი, ამ ეტაპზე კოლეჯს გამოსწორებული არ აქვს და დაგეგმილი აქვს ამა წლის ზაფხულში, ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია - სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადაში, კოლეჯმა უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის მოგვარება.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის, იჯარის ხელშეკრულების, რეესტრის ამონაწერის (საკადასტრო კოდი N 83.02.18.314) და ასევე აზომვითი ნახაზების თანახმად დასტურდება, რომ შპს მარნეულის კოლეჯი (ს/კ 234158498) მდებარეობს ქ. მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე N80 და განთავსებულია შემდეგ ფართზე: შენობა N1 - ფლიგელი ,,ა" - მე-2 სართული საერთო ფართი 859,88კვ.მ - დან 36.45 კვ.მ. ფლიგელი ,,ბ", მე-2 სართული - 626,56კვ.მ.-დან 511.10 კვ.მ., ასევე 859.88კვ.მ და 701.18კვ.მ ფართიდან 329.70კვ.მ; იჯარის ხელშეკრულება, გაფორმებულია 01/01/2030-მდე და საერთო ფართი მოიცავს 862,51 კვ.მ-ს (რეესტრის ამონაწერი N 892023269489).

დაწესებულებაში თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილია შემდეგი აუდიტორიები (9 - A გარემო): N201 (30 ადგილი); N202 (20 ადგილი); N211 (20 ადგილი); N212 (20 ადგილი); N214 (20 ადგილი); N216 (20 ადგილი); N221 (30 ადგილი); N220 (20 ადგილი); N226 (20 ადგილი). საერთო ჯამში A გარემოში შეიძლება განთავსდეს 200 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში.

დაწესებულებაში 3 -B გარემოა, რომლებიც საერთო ჯამში იტევს 56 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში. ეს აუდიტორებია N205 (16 ადგილი +16 კომპიუტერი); N207 (16 ადგილი+16 კომპიუტერი); N222 (25 ადგილი +24 კომპიუტერი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

C გარემოსთვის გამოყოფილია ასევე 3 აუდიტორია: N202 (24 ადგილი) - საექთნო განათლება; N218 და N210 (24 -24 ადგილი) - ფარმაცევტული ლაბორატორია და იმიტირებული აფთიაქი; N224 (20 ადგილი) - სალაროს ოთახი.

შენობაში განთავსებულია ასევე: საკონფერენციო დარბაზი, ადმინისტრაციული სივრცეები, რეკრეაციული სივრცეები პროფესიულ სტუდენტთათვის და მათი მოთხოვნით გამოყოფილი სასადილო სივრცე, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, სივრცე არქივისთვის, და ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის სივრცე.

ყველა სასწავლო გარემო აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის მაგიდებით და სკამებით, დაფებით, მონიტორებით, პროექტორებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით. C გარემო აღჭურვილია ასევე ტექნიკური რესურსით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსით. 3 B გარემოში განთავსებულია საერთო ჯამში 56 კომპიუტერი და დამონტაჟებულია 3 პროექტორი.

კოლეჯში ჩატარებულია ყველა აუდიტორიის მონიტორინგი მატერიალურ რესურსთან მიმართებით და შექმნილია საბოლოო ინვენტარიზაციის დოკუმენტი. მატერიალური ქონების ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ავტორიზაციის ვადით. **ინდიკატორი 5.1.1.1. შესაბამისობაშია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

კოლეჯის დებულების მე-7 მუხლით - გაწერილია მოძრავი ქონების მართვის მექანიზმები, რომლის თანახმად კოლეჯის ადმინისტრაციული საქმიანობის და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით ინვენტარის, აღჭურვილობის და მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ადმინისტრაციული დირექტორი, მასვე ევალება კოლეჯის ინფრასტრუქტურით პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კოლეჯში შემუშავებულია ასევე პროფესიული სტუდენტების გზამკვლევი და დოკუმენტი „სტუდენტთა უფლებები“, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი მათი უფლებები და მათ შორის ისიც, რომ ისინი უფლებამოსილი არიან, კოლეჯის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით, ისარგებლონ კოლეჯის ინფრასტრუქტურით, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსით, ინფორმაციული ტექნოლოგიებითა და უკაბელო ინტერნეტით სასწავლო მიზნებისათვის მეცადინეობების დასრულების შემდგომაც. უფლება აქვთ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსით, კოლეჯის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისა და ქცევის წესების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის და შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, **რომ კოლეჯის მატერიალური რესურსი იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. შესაბამისად პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილია სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით, ბიბლიოთეკით, რეკრეაციული სივრცით.**

ინდიკატორი 5.1.1.2. შესაბამისობაშია.

3. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში სრულად არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რასაც უზრუნველყოფს დამლაგებელი. კოლეჯის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მისი საქმიანობის და პასუხისმგებლობების საკითხები. შესაბამისად იგი ზრუნავს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე, კოლეჯის ტერიტორიის, სასწავლო და ადმინისტრაციული ფართის, ასევე სანჰიგიენური წერტილების დასუფთავებაზე, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დეზინფექციის ჩატარებას, იცავს შრომის უსაფრთხოების და ზოგადი უსაფრთხოების წესებს, რომელიც დადგენილია შპს მარნეულის კოლეჯის უსაფრთხოების დებულებით. ამავე დებულებით (თავი 6) განსაზღვრულია ჰიგიენის დაცვის მექანიზმი, რომლის მიხედვით რეგულირდება კოლეჯის ტერიტორიის, დერეფნების, სასწავლო აუდიტორიების ლაბორატორიების, სველი წერტილების/ტუალეტების დასუფთავებისა და დეზინფექციის ჩატარების პროცედურები და პერიოდულობა. მაგ: კვირაში სამჯერ ხორციელდება კოლეჯის ტერიტორიის იატაკის სველი წესით მორეცხვა და დასუფთავება; თვეში ერთხელ ტარდება კოლეჯის გენერალური დასუფთავება არა მარტო სარეცხი საშუალებებით, არამედ სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით. სველი წერტილები ლაგდება ყოველდღიურად. ნიჟარები, უნიტაზები ირეცხება ჯაგრისით სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით მათ ეტიკეტზე მითითებული მოთხოვნების შესაბამისად და ასე შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით, ტარდება ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილის, ასევე კოლეჯის ტერიტორიის პერიოდული დამუშავება მწერებისა და მღრღნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია). აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით.

ინდიკატორი 5.1.1.3. შესაბამისობაშია.

4. **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერებით, ასევე კომუნალური გადახდის ქვითრებით დასტურდება, რომ კოლეჯის მფლობელობაში არსებული სივრცე უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომლის უსაფრთხო მუშაობაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული დირექტორი **ინდიკატორი 5.1.1.4. შესაბამისობაშია.**

5. **დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;**

შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N60 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების დებულებით (ბოლო ცვლილება შევიდა 2023 წლის სექტემბრის N8828 ბრძანებით) განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, რომლის მთავარი მიზანია უბედური შემთხვევებისა და ავარიების თავიდან აცილება, დასაქმებულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირება, სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემო-პიროებების შექმნა, დასაქმებულთა პროფესიული კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში, საწარმოო უსაფრთხოების მუდმივი გაუმჯობესება, ინფორმაციის ოპერატიულად მართვის უზრუნველყოფა ადეკვატური გადაწყვეტილების მისაღებად, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში.

კოლეჯს ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უძღვება პერსონალის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ პროცესებს. იგი მონაწილეობს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში. სამუშაო პროცესში უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით სისტემატიურად ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს აბარებს ადმინისტრაციულ დირექტორს. იგი წელიწადში ორჯერ ატარებს ტრენინგს პერსონალისათვის შრომის უსაფრთხოების ნორმებთან და რისკების პრევენციასთან დაკავშირებით. მასთან გასაუბრებით და ასევე წარმოდგენილი ანგარიშებით დადგინდა, რომ იგი ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში, ინდივიდუალურ რეჟიმში, სამუშაოს დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, უტარებს მას ტრენინგს შრომის უსაფრთხოების ნორმებთან და რისკების პრევენციასთან დაკავშირებით.

კოლეჯში, შრომის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, იდენტიფიცირებულია არსებული პროფესიული პროგრამების განხორციელების პროცესში შესაძლო საფრთხეები და გაწერილია შესაბამისი თავდაცვითი აქტივობები, რომლის შესრულებაზეც, ასევე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტია პასუხისმგებელი. იგი, სასწავლო პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო წლის მანძილზე ორჯერ პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით, ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის აღჭურვილობის ვარგისიანობას და უზრუნველყოფს მოცემული საფრთხეების თავიდან არიდებას. შემოწმებისს შედეგად დადგინდა, რომ ფარმაცევტულ ლაბორატორიაში, საექთნო კაბინეტში კომპიუტერულ ლაბორატორიებში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შესაბამისი უსაფრთხოების წესები.

ინდიკატორი 5.1.1.5. შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

კოლეჯს შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (მუხლი 16) და რომლებიც უზრუნველყოფენ, საჭირო მასალებითა და ნედლეულით აღჭურვილ სასწავლო პროცესს.

პროფესიული პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების პროცესის საჭირო რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ადმინისტრაციული დირექტორი, ხოლო პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირზე მოდულით განსაზღვრული მასალის გაცემას და აღრიცხვას აწარმოებს ადამიანური რესურსის მმართველი პირი. მათთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის საჭირო მასალის და სხვა რესურსით მომარაგების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი/მასწავლებელი მიმართავს წერილობით ადამიანური რესურსის მმართველს, რომელიც მასალის გაცემის ფაქტს აფორმებს მასალა-ნედლეულის ხარჯვის ტაბელზე, სადაც აღინიშნება თარიღი, გაცემული რესურსის სახელწოდება და რაოდენობა. მასალის გადაცემის ფაქტს ხელმოწერით ადასტურებს მიმღები პირი (ადმინისტრაციის თანამშრომელი და მასწავლებელი).

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადასტურდა, რომ მასალა-ნედლეულის მარაგებისათვის კოლეჯის ტერიტორიაზე გამოყოფილია საკეტით აღჭურვილი სათავსო, რომელზე პასუხისმგებელობაც და კონტროლიც ევალება ადამიანური რესურსის მმართველს. მასალა-ნედლეულის მარაგის შევსების მოთხოვნით იგი მიმართავს ადმინისტრაციული დირექტორს. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს იგი ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. არსებული აღჭურვილობის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს შემოწმებას წელიწადში ორჯერ და დანაკლისის ან შეუსაბამობის შემთხვევაში მიმართავს წერილობით ადმინისტრაციულ დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

დაწესებულებაში მატერიალური რესურსების შესყიდვა ხორციელდება ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილი კომპანიებისგან. შესყიდვის პროცედურას გეგმავს, მოლაპარაკებებს აწარმოებს და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ზედამხედველობას უწევს კოლეჯის დირექტორი.

წარმოდგენილი მექანიზმები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელ მიწოდებას. ინდიკატორი 5.1.1.6. შესაბამისობაშია.

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს მარნეულის კოლეჯში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით (დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის 2020 წ . 29 სექტემბრის N54 ბრძანებით, ხოლო ბოლო ცვლილება შევიდა დირექტორის 2023 წლის სექტემბრის N8828 ბრძანებით) განსაზღვრულია დაწესებულების რესურსების რეგულარული შეფასების და განვითარების პროცედურები, რასაც, თავისი უფლება/მოვალეობების ფარგლებში ხელმძღვანელობს ხარისხის მენეჯერი. იგი ახორციელებს სასწავლო და მატერიალური რესურსების ავტორიზაციის სტანდარტთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რასაც ანგარიშის სახით წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ვიზიტის პერიოდში ხარისხის მენეჯერმა წარმოგვიდგინა ბოლო სასწავლო წლების სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასების აქტები. აქტებით ირკვევა, რომ ხარისხის მართვის სამსახური კოლეჯის 1 წლიანი სამოქმედო გეგმის მოქმედების მანძილზე ორჯერ და ან საჭიროების შემთხვევაში, რიგ გარეშე, ახორციელებს სასწავლო და მატერიალური რესურსების შეფასებას, წინასწარ შემუშავებული ფორმის გამოყენებით. ფორმაში შესაფასებელ კომპონენტებად განსაზღვრულია ყველა პროგრამა, რომელსაც კოლეჯი ახორციელებს და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. 2023 წლის შეფასების ფორმიდან ჩანს, რომ ადმინისტრაციული პერსონალის რესურსით უზრუნველყოფის დადგენა ხდება რესურსის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოებული აღრიცხვის ჟურნალით. გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით კოლეჯი უზრუნველყოფს მათ გამოსწორებას და რესურსების შემდგომ განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმით, კოლეჯი ახორციელებს რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

ინდიკატორი 5.1.1.7. შესაბამისობაშია.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის შენობაში მოწყობილია სანიტარული კვანძები მამაკაცებისა და ქალბატონებისთვის. ერთერთი, ადაპტირებულია შშმ პირისთვის. მათში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები, აქვთ **უწყვეტი განათება, წყლით მომარაგება და ვენტილაცია.** სანიტარული კვანძები ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის და პერსონალისთვის. **ინდიკატორი 5.1.1.8. შესაბამისობაშია.**

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ შენობაში არსებულ ყველა სივრცეში, აუდიტორიაში და ადმინისტრაციულ სივრცეებში, ასევე ბიბლიოთეკაში არის როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. **ინდიკატორი 5.1.1.9. შესაბამისობაშია.**

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

როგორც უკვე აღინიშნა, კოლეჯი მდებარეობს მეორე სართულზე. შესაბამისად შესასვლელში დამონტაჟებულია მყარი, ხოლო მეორე სართულზე ასასვლელ კობეებზე გადასატანი პანდუსი. არსებული სათავსოები და სივრცეები ისეა განლაგებული, რომ ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისთვის. შენობაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო აუდიტორიები. არსებული რეკრეაციული ზონები უზრუნველყოფს სტუდენტთა დასვენებას. **ინდიკატორი 5.1.1.10. შესაბამისობაშია.**

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ხელმისაწვდომია, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის.

ბიბლითეკაში განთავსებულია 1200 წიგნადი ერთეული, რაც დასტურდება ინვენტარიზაციის ჟურნალით, ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში და ვებგვერდზე ჩატვირთულია ელექტრონული რესურსი. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე, მასში განთავსებულია ასევე პრინტერი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მასალის ამობეჭდვას. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრულია ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობები (თავი 2, მუხლი 3). როგორც ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა კოლეჯის მისიის და მიზნების უზრუნველსაყოფად იგი ეფექტურ კოორდინაციაშია პროგრამების განმახორციელებელ პირებთან და ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციული დირექტორის წინაშე, ხოლო მის მოვალეობას, არყოფნის შემთხვევაში ადმინისტაციული დირექტორის გადაწყვეტილებით ითავსებს საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი 5.1.1.11. შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- იჯარის ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი N 83.02.18.314);
- შენობის აზომვითი ნახაზები;
- უსაფრთხოების დებულება;
- კოლეჯის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სამუშაო გეგმა და ანგარიში;
- პერსონალის მართვის წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა უფლებები;
- დამლაგებლის უფლებამოვალეობები;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- კოლეჯის დირექციასთან გასაუბრების შედეგები;
- პროფესიულ მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები;
- ინფორმაციული ტექნიკის შეფასების ფორმა;
- ადმინისტრაციული დირექტორის სამუშაო გეგმა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტის ანგარიში;
- შპს მარნეულის კოლეჯში სასწავლო და ადმინისტრაციული აუდიტორიებსი ინფორმაციული ტექნიკის გადანაწილების დოკუმენტი.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები:**

კოლეჯმა წარმოადგინა შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის“ 2020 წლის, 14 სექტემბრის N2020-55 დადებითი დასკვნა ქ. მარნეულის, 26 მაისის ქუჩის N80-ში მდებარე შენობის მდგრადობის თაობაზე და საქართველოს შინაგანსაქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგნაგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების აქტი (გაცემულია 18.12.2023), რომლითაც დგინდება, რომ დაწესებულების შენობაში სახნძრო უსაფრთარხოების მდგომარეობა სრულად არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ ნორმებს, კერძოდ, ობიექტის (შენობა-ნაგებობა) საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების, ელექტრომოწყობილობების და ელექტროქსელების მდგომარეობის შეფასება და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების მდგომარეობა არ იყო სრულად მოწესრიგებული. ვიზიტის დროისათვის დაწესებულებამ შეუსაბამო პუნქტებიდან ორის შესაბამისობაში მოყვანის მტკიცებულებები წარმოადგინა, რაც შეეხება მესამე პუნქტს, რომელიც საავარიო კარის გაღების მიმართულების შეცვლას ეხება, აღნიშნული ხავეზის გამოსწორების ვადად დაწესებულებამ მიმდინარე წლის ზაფხული განსაზღვრა და აღნიშნული საკითხი, დაწესებულებაში მოქმედი წესის თანახმად, (სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი დაწესებულების 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) შპს მარნეულის კოლეჯის 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში, შესაბამისი ფინანსური რესურსის მითითებით ასახა.

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთოებაზე პასუხისმგებელი სერტიფიცირებული პირი რომელიც ამავდროულად სახანძრო უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი. დაწესებულების უსაფრთხოების დებულების თანახმად, იგი ატარებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების ინსტრუქტაჟს პერსონალისა და სტუდენტებისათვის. აღნიშნულის დასტურად, დაწესებულებამ წარმოადგინა ინსტრუქტაჟზე დასწრების დამდასტურებელი ფურცლები.

იმის გათვალისწინებით, რომ საგანაგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების აქტით (გაცემულია 18.12.2023) გამოვლენილი შეუსაბამობის, კერძოდ, საავარიო კარის გაღების მიმართულების შეცვლის საკითხი, ამ ეტაპზე კოლეჯს გამოსწორებული არ აქვს და მისი განხორციელება დაგეგმილი აქვს ამა წლის ზაფხულში, კოლეჯს მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია. სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადაში უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის მოგვარება.

ინდიკატორი 5.1.2.1 მეტწილ შესაბამისობაშია

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში მოქმედი უსაფრთხოების დებულებით განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დებულების თანახმად, კოლეჯი უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მყოფი სტუდენტებისა და პერსონალისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ სტუდენტებს აწვდის პროგრამის ხელმძღვანელების მეშვეობით, სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში, წინასწარ დაგემილ შეხვედრაზე. კოლეჯის პერსონალს კი ინფორმაცია მიეწოდება საგანგებო მართვის გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, სამუშაოს დაწყებიდან, ასევე ორი კვირის ვადაში დაგეგმილ შეხვედრაზე.

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს დირექტორის მიერ დამტკიცებული (საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებული) პირი. მისი არყოფნის შემთხვევაში კი კოლეჯის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი, რომლის გადამზადების ვალდებულებასაც იღებს კოლეჯი. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ ყველა მათგანს გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით.

სტუდენტებისა და პერსონალისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით კოლეჯს ასევე გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება უახლოეს სამედიცინო დაწესებულებასთან - კომპანია მედ X (30.10.2022 N151 ხელშეკრულება), რომელიც კოლეჯის შენობაში მდებარეობს. ხელშკრულების თანახმად, აღნიშნული კომპანია იღებს ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი დახმარება გაუწიოს კოლეჯის სტუდენტებს, მსმენელებსა და პერსონალს. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ კოლეჯს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის 2 ყუთი, რომლებშიც ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო საშუალებები. პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების შენახვა/მონიტორინგზე და ხარჯვის აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირია სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი, რომელიც განსაზღვრულია დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმით (საექთნო განათლების პროგრამის ხელმძღვანელი). პასუხისმგებელი პირი ახორციელებს სამუშაო სივრცეში პირველადი გადაუდებელი დახმარების/უბედური შემთხვევების (ასეთის არსებობის შემთვევაში) აღრიცხვას. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ კოლეჯში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი.

ინდიკატორი 5.1.2.2 შესაბამისობაშია.

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი:**

შპს მარნეულის კოლეჯის საგანგებო მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად. გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 26 ივლისი N5516 ბრძანებით (ცვლილება 2024 წლის თებერვალი ბრძანება N 1158) და შეთანხმებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (MIA 2 22 01982148/19.07.2022).

დაწესებულებას შექმნილი აქვს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი, განსაზღვრულია შტაბის შემადგენლობა და შტაბის წევრების ფუნქცია-მოვალეობები. ასევე, იდენტიფიცირებულია რისკები და რისკების შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებები/აქტივობები.

შემუშავებულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც თვალსაჩინო ადგილებზეა განთავსებული კოლეჯის შენობაში. განსაზღვრულია რეაგირების, ევაკუაციისა და სამედიცინო დახმარების ჯგუფების შემადგენლობა.

კოლეჯი გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით, არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ ატარებს ხანძრის და საგანგებო სიტუაცის დროს თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა მოქმედებების გავარჯიშებას. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა ინსტრუქტაჟზე დასწრების ფურცლები. აღნიშნული დადასტურდა პერსონალთან გასაუბრებითაც.

ინდიკატორი 5.1.2.3 შესაბამისობაშია

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას:**

დაწესებულებაში მოქმედი უსაფრთხოების დებულებით განსაზღვრულია წესრიგის დაცვის მექანიზმები, კერძოდ, კოლეჯში წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი, რომლის ფუქნცია -მოვალეობები გაწერილის შპს მარნეულის კოლეჯის შინაგანაწესში და ასევე დარეგულირებულია დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. დამატებითი უსაფრთხოების მიზნით შენობა აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის (გაფორმებულია შესაბამისი ხელშკრულება კომპანია ალგანთან) და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე. უსაფრთხოების მიზნით კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერებით. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია აკადემიური დირექტორი, ხოლო სისტემის ტექნიკურ გამართულობაზე - ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალისტი. დათალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯის ტერიტორიაზე, როგორც შიდა ისე გარე სივრცეში დამონტაჟებულია ჩაწერის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეოსათვალთალო სისტემა. შენობაში განთავსებულია ვიდეოჩანაწერის მიმდინარეობის გამაფრთხილებელი ნიშნები. შესაბამისად, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი 5.1.2.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უსაფრთხოების დებულება;
- დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
- დასკვნა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
- შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შინაგანაწესი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- დათვალიერების შედეგი;
- ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს**

კოლეჯი აღჭურვილია სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით, რომელთა პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას და საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისია.
საერთო ჯამში კოლეჯს აქვს 77 კომპიუტერი, მათ შორის 20 ადმინისტრაციის სარგებლობისთვის, 15 პრინტერის აპარატი, მათ შორის 10 მულტიფუნქციური, 2 ტელევიზორი, 3 პროექტორი და სხვა.
სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია როგორც უსადენო (wifi), ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ფაქტობრივი მდგომარეობით და ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.
აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 შესაბამისობაშია

2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის №60 ბრძანებით დამტკიცებულია „უსაფრთხოების დებულება“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, რისკების თავიდან აცილების მიზნით, განსაზღვრავს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მათ შორის საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის კონტროლის მექანიზმებს.
ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართულად ფუნქციონირებისთვის კოლეჯს ჰყავს IT მენეჯერი. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ იგი უზრუნველყოფს კოლეჯის საინფორმაციო ტექნიკური საშუალებების გამართულად მუშაობას, მათ ტექნიკურ და პროგრამულ მხარდაჭერას. იგი ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების შეფასებას და მართვას, IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმებას და პასუხისმგებელია კოლეჯის კომპიუტერული ქსელის გამართვასა და ფუნქციონირებაზე. კოლეჯმა წარმოადგინა საინფორმაციო რესურსებისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შეფასების აქტი N64, რომლითაც დგინდება, IT სპეციალისტის მიერ განხორციელებულია ინფორმაციული ტექნიკის შემოწმების ფაქტი.
კოლეჯში წარმოდგენილი კომპიუტერები უზრუნველყოფილია IT ვირუსისგან დამცავი სისტემით.
აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5.2.1.2 შესაბამისობაშია

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;**

კოლეჯის „უსაფრთხოების დებულების“, 59-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. კოლეჯის მიერ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით წარმოდგენილია პერსონალის თანხმობის ფურცლები, კოლეჯის მიერ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დადგინდა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

ინდიკატორი 5.2.1.3 შესაბამისობაშია

4. **პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;**

კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის №54 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“, რომლის შესაბამისადაც, რეგულარულად ხორციელდება შპს მარნეულის კოლეჯის მიერ საინფორმაციო რესურსების და ინფრასტრუქტურის შეფასება. ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტი წელიწადში ერთხელ და/ან დამდგარი საჭიროებისამებრ (არაგეგმიურად), ახორციელებს კოლეჯის მთელი ინფორმაციული ტექნიკის (კომპიუტერები, მონიტორები, პრინტერები, პროექტორები) გეგმიურ შემოწმებას, რა დროსაც მოწმდება ტექნიკის როგორც პროგრამული, ასევე ტექნიკური მონაცემები და შედეგებს წარუდგენს ადმინისტრაციულ დირექტორს სამსახურებრივი ბარათით.

დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტის ანგარიშები, საინფორმაციო რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შეფასების აქტები, რომელთა გაცნობითაც დგინდება, რომ კოლეჯში განხორციელდა საინფორმაციო ტექნიკური საშუალებების ხარვეზებისა და პრობლემების იდენტიფიცირება და შედეგად რიგი რესურსების განახლება-გაუმჯობესება.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2022 და 2023 წლებში ჩატარებული კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომელთა შესაბამისადაც შეფასდა პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და დაწესებულების პერსონალის კმაყოფილება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების გზით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

ინდიკატორი 5.2.1.4 შესაბამისობაშია

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბერს №55 ბრძანებით დამტკიცებული „შპს მარნეულის კოლეჯის დებულების“ მე-7 მუხლის შესაბამისად, ინფორმაციული ტექნიკის და საკომუნიკაციო ქსელის პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირია ადმინისტრაციული დირექტორი, ხოლო მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი.

კოლეჯის „უსაფრთხოების დებულების“, 77-ე მუხლის შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს ინფორმაციული აქტივების მართვას, რისთვისაც: ინფორმაციული ტექნიკის (კომპიუტერები, პრინტერები, აუდიო აღჭურვილობები, მონიტორები, პროექტორები) რაციონალური განკარგვის მიზნით, დირექტორი ბრძანებით ამტკიცებს ამ ტექნიკის გადანაწილების სქემას სასწავლო და ადმინისტრაციულ აუდიტორიებში და მათ ფუნქციურ დანიშნულებას. კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისი განაწილების სქემა, რომლითაც დგინდება, რომ კოლეჯში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს და მუდმივად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგებით.

ინდიკატორი 5.2.1.5 შესაბამისობაშია

6. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით ან სატელეფონო ან პირისპირ კომუნიკაციით. კოლეჯში შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნით შექმნილია ელექტრონული ფოსტის ერთიანი ბაზა: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თითოეული ჯგუფისათვის; კურსდამთავრებულებისათვის; ადმინისტრაციული პერსონალისათვის; პროფესიული მასწავლებლებისათვის.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადასტურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.
ინდიკატორი 5.2.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის №54 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის №60 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოების დებულება“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბერს №55 ბრძანებით დამტკიცებული „შპს მარნეულის კოლეჯის დებულება“
- კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტის ანგარიშები;
- საინფორმაციო რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შეფასების აქტები;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევების შედეგები;
- პერსონალის კმაყოფილების კვლევების შედეგები;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და პასუხისმგებელ პირებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის №55 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომლის ძირითადი მიზანია კოლეჯში ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის რეგულირება, დოკუმენტების შედგენის, გაფორმების, აღრიცხვისა და რეგისტრაციის კოორდინაცია. კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

ინდიკატორი 5.2.2.1. შესაბამისობაშია

2. **პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;**

კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის (შემდგომში - სისტემა) საშუალებით, შესაბამისი პროგრამის -,,eflow”-ის მეშვეობით. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ შპს მარნეულის კოლეჯის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ინდიკატორი 5.2.2.2. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**

კოლეჯში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

ინდიკატორი 5.2.2.3. შესაბამისობაშია

4. **პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

კოლეჯის საქმისწარმოების წესით რეგულირდება დოკუმენტების და დავალებების შესრულების კონტროლისა და დოკუმენტის შესრულების ვადები, მათ შორის განსაზღვრულია დოკუმენტისა და დავალების შესრულების კონტროლის პროცედურები და დოკუმენტის შესრულების ვადების კონტროლის მექანიზმები.

კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპონდენციები, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპონდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი 5.2.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის №55 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: http://www.mc.edu.ge/ და სოციალური ქსელია - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/marneulicollege.

ვებგვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. კოლეჯის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისას გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვებგვერდს, ისევე, როგორც დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

ინდიკატორი 5.2.3.1. შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

დაწესებულების მისიაა მრავალპროფილური პროფესიული პროგრამების განხორციელებით ქვემო ქართლის რეგიონის შიდა ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება და დასაქმების ხელშეწყობა, რაც რეგიონში უზრუნველყოფს დასაქმების მაჩვენებლის გაზრდას, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. კოლეჯი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ქართული ენის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებში ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის ფასეულობების დამკვიდრებისას. მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, თუმცა დაწესებულებას აქვს რუსულენოვანი ვებგვერდი: http://www.mc.edu.ge/?lang=ru .

ინდიკატორი 5.2.3.2. შესაბამისობაშია.

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცი დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის, ზოგადად კოლეჯის საქმიანობის შესახებ არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება. დაწესებულების ვებგვერდზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის მიერ შემოთავაზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოკლე ციკლის მომზადება/გადამზადების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. რამდენიმე პრორგამის სახელწოდების შემთხვევაში გასასწორებელი იყო ტექნიკური ხარვეზი, მაგალითად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ზოგიერთ შემთხვევაში მოხსენებულია როგორც „ინფორმაციის ტექნოლოგიები“ ან „ ინფორმაციული ტექნოლოგიები“, ასევე პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში „საოფისე საქმე“ ნახსენებია ან „საოფისე საქმე“ ან „ოფისის მენეჯერი“. აღნიშნული ტექნიკური ხარვეზების გამოსასწორებლად, იფნორმაცია ვიზიტის დროსვე მიეწოდა დაწესებულების უფლებამოსილ პირს.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბერს №55 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს მარნეულის კოლეჯის დებულება“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, განსაზღვრულია სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

ინდიკატორი 5.2.3.3 შესაბამისობაშია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2024“, სადაც მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია; კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტის შეფასების, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების სერვისების, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესახებ და მოცემულია ფოტო კოლაჟი. განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის კოლეჯის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

ინდიკატორი 5.2.3.4. შესაბამისობაშია.

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**

კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი, 2020, 2021, 2022, 2023 წლები, კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2024.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.
ინდიკატორი 5.2.3.5. შესაბამისობაშია.

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბერს №55 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს მარნეულის კოლეჯის დებულება“, რომლის შესაბამისადაც, კოლეჯის საქმისწარმოების მენეჯერი მართავს საზოგადოებასთან კომუნიკაციის არხებს - ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებს. დებულების თანახმად, კოლეჯის ვებგვერდზე და ფეისბუქგვერდზე შემოსულ ინფორმაციაზე/შეკითხვაზე რეაგირების ვადაა შემოსვლიდან არაუგვიანეს ათი დღისა. კოლეჯის ფეისბუქვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელი პირია ადმინისტრაციული დირექტორი. კოლეჯის პერსონალთან ინფორმაციის მიმოცვლის და უკუკავშირის მიღების მიზნით შექმნილია ფეისბუქჯგუფი -კომუნიკატორი, ხოლო სტუდენტებთან ინფორმაციის მიმოცვლის და უკუკავშირის მიღების მიზნით იქმნება ფეისბუქჯგუფები პროგრამების და მიღების წლის მიხედვით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი 5.2.3.6. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: http://www.mc.edu.ge/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/marneulicollege .
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბერს №55 ბრძანებით დამტკიცებული „შპს მარნეულის კოლეჯის დებულება“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2024;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2020, 2021, 2022, 2023 წლები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული 26 მაისის N 80
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	150
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	150
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საექთნო განათლების “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შპს მარნეულის კოლეჯი, სარგებლობის უფლებით, ფლობს სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მისამართზე: მარნეული, 26 მაისის ქ. N80.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გამოყოფილი აქვს:

2 - **A სასწავლო გარემო** - №201 და №203 აუდიტორიები. პროგრამისათვის. მითითებულ აუდიტორიებში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობაა 50 (მაგიდა და სკამი) და ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის 2 მაგიდა და და 2 სკამი. ორივე აუდიტორიაში განთავსებულია თითო-თითო კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი და დაფები.

2- **B სასწავლო გარემო** - №205, №207 აუდიტორიები. თითოეულში განთავსებულია 16-16 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 16 -16 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, თითო-თითო კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, თითო-თითო დემონსტრირების ციფრული საშუალება - მონიტორი, დაფები და ასევე ორივე აუდიტორიაში განთავსებულია კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები).

1- **C სასწავლო გარემო** - №202 აუდიტორია, რომელშიც განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისათვის 24 მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, ფუნქციური საწოლი, მანეკენი, მენჯის მულაჟი (ქალისა და კაცის გენიტალიები, შარდსადენი, ნაწლავის სტომის სიმულაციის შესაძლებლობა), შშმ პირის ეტლი, ქირურგიული ინსტრუმენტებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნულ გარემოში განხორციელდება 2 მოდული - „ავადმყოფის მოვლა და „შინმოვლა“.

კლინიკური პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებთან - კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სამედიცინო დაწესებულებებთან: - შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ხელშ. გაფორმების თარიღი:13.09.2019), შპს „ავერსის კლინიკა “ (ხელშ.გაფორმების თარიღი: 19.08,2019), შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“ (ხელშ. გაფორმების თარიღი: 02.08.2021), შპს ,,ჯეო ჰოსპიტალი“ (ხელშ.გაფორმების თარიღი: 02.09.2019) რომელთაც ერთდროულად შეუძლიათ 90 პროფესიული სტუდენტის მიღება თვეში. ყველა ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი. პროგრამის თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას შესაბამის განყოფილებებში. შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკაში“, შპს „ავერსის კლინიკასა“ და შპს ,, ჯეო ჰოსპიტალში“ მიმდინარეობს შემდეგი მოდულები: 1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა, 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა, 3. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა, 4. შემაჯამებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა, 5. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა,6.შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა, 7. კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები, 8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;9.კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა, 10.შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა, 11. კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა, 12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა, 13. კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია და 14. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმთელობა და ფსიქიატრია (მხოლოდ N2,N4 და N5 სწავლის *შედეგები).* ექსპერტთა ჯგუფის მიერ კლინიკის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი წარმატებით თანამშრომლობენ კოლეჯთან და სრულად გააჩნიათ ამ მოდულების გავლისთვის საჭირო ინვეტარი და აღჭურვილობა, გარდა ამისა, კლინიკის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ 7 პროფესიულ სტუდენტს 1 განმახორციელებელი ინსტრუქტორი მოემსახურება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 29 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე და კომპეტენციით აღჭურვილი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 16 ზოგად მოდულს, ხოლო 13 პროფესიულ მოდულს უძღვება. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია შრომის კოდექსით დადგენილი არსებითი პირობები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული განათლების მაასწავლებლების დატვირთვის ცხრილი და დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირების რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და შეფასდა პროფესიული განათლების მასწავლებელთავის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის პირადი საქმეების შესაბამისობის საკითხი.

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

კოლეჯის დირექტორის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, ზრუნავს პროგრამის შინაარსა და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად ჩართულია შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცესში, პროგრამის განხორციელებისას კომუნიკაციას ამყარებს პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ორი, ექიმის და ექთნის კვალიფიკაცია და ფლობს სამუშაო გამოცდილებას. იგი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

„საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. გარდა ამისა, კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული წიგნები და სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სარგებლობა. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსების სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ მასწავლებლებთან.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმები, რომელიც მოიცავს სსსმ პირების კომპონენტსაც. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმით განსაზღვრულია გეგმის შედგენაში მონაწილე პირები, მათ შორისაა პროფესიული სტუდენტიც. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პრაქტიკა, თუმცა ამ ეტაპზე, კოლეჯში სსსმ პირი არ ირიცხება.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის ბუღალტრის 2022 წლის 13 აპრილის ანგარიში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის ღირებულებას. დოკუმენტში აღწერილია კოლეჯის შემოსავლები და ხარჯები (მასწავლებლის ანაზღაურება, მასალა-ნედლეული, ადმინისტრაციული, საკანცალარიო-საოფისე, კომუნალური, ინფრასტრუქტურისა და პერსონალ;ის განვითარების, დიპლომების, პრაქტიკის ორგანიზებისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი. **აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია.

დასტურდება:

- კოლეჯის დირტექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით დამტკიცებული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- კოლეჯსა და სამედიცინო კლინიკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროგრამის განმახორციელებელი მროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- კოლეჯის ბუღალტრის ანგარიშით;
- კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სამედიცინო კლინიკების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომელიც აწყობილია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობით და დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას.

კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური, სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯრები სისტემატურად ახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს როგორც კოლეჯში, ისე სამედიცინო კლინიკებში.

სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯსა და ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი და გავლილი მოდულების შესახებ, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობა შესაბამისობაშია სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს.

პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისა და მიღებული შეფასების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამით უზრუნველყოფისა და სხვა საკითხების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, კვალიფიკაციის, კრედიტის, ხანგრძლივობის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ამ მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საქართნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი A ,B და C სასწავლო გარემო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც აღწერს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობის შემთხვევებს. მაგ; სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ორჯერ.

კოლეჯში ამ ეტაპზე არ ირიცხება სსსმ პირი, თუმცა არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი 2.4.1.4.შესაბამისობაშია.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს მარნეულის კოლეჯს „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელების მიზნით, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის სამედიცინო შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ხელშ. გაფორმების თარიღი:13.09.2019), შპს „ავერსის კლინიკა “ (ხელშ.გაფორმების თარიღი: 19.08,2019 ერთდროულად 30 სტუდენტს მიიღებს), შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“ (ხელშ. გაფორმების თარიღი: 02.08.2021), შპს ,,ჯეო ჰოსპიტალი“ (ხელშ.გაფორმების თარიღი: 02.09.2019 ერთდროულად 30 სტუდენტს მიიღებს). ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს, გასაუბრებისას დადასტურდა, რომ კლინიკები წარმატებით თანამშრომლობენ კოლეჯთან, იაზრებენ ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არიან დაასაქმონ კურსდამთავრებულები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი 2.4.1.5.შესაბამისობაშია.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ თეორიული კომპონენტი ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, რომელსაც არ სჭირდება განსაკუთრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვა, თუმცა უსაფრთხოების მიზნით საექთნო კაბინეტში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შესაბამისი უსაფრთხოების წესები. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ინტენსიურად ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს, ატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟებს უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე. პრაქტიკის ობიექტის ინსტრუქტორები ასევე ვალდებულები არიან გააცნონ პროფესიულ სტუდენტებს ორგანიზაციის სტრუქტურა, ორგანიზაციის შინაგანაწესი, შრომითი ურთიერთობების ასპექტები, შრომითი გარემო და უსაფრთხოების ნორმები. შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.4.1.6.შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირტექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით დამტკიცებული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანჯმანათლებლო პროგრამით;
- კოლეჯსა და პარტნიორ სამედიცინო კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ოქტომბრის N00002281 ბრძანებით, ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2023 წლის დეკემბრის N15914 ბრძანებით) სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესს, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესებს.

სტუდენტისათვის კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. მოდულის ფარგლებში მოქმედი შეფასების მეთოდების და შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ სტუდენტს ინფორმაციას აწვდის მასწავლებელი მოდულის დაწყებისთანავე პირადი შეხვედრის დროს. შეფასებამდე სულ მცირე ორი კვირით ადრე მასწავლებელი ელექტრონული ფოსტით აწვდის სტუდენტს ინფორმაციას მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების, სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურების მიმართულებისა და ინსტრუმენტის შესახებ. სტუდენტის შეფასების წესი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. სტუდენტის ცოდნა/უნარი ფასდება მოდულის სწავლის შედეგის კრიტერიუმეზე დაყრდნობით. მოდულის მისაღწევი შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მასწავლებელი. ინსტრუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს. სტუდენტი, რომელიც მოდულის განხორციელების პროცესში გააცდენს მეცადინეობის 70%-ზე მეტს არ დაიშვება შეფასების პროცესზე, ხოლო სტუდენტი, რომელიც მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში (პრაქტიკის ობიექტზე) გააცდენს მეცადინეობის 30%-ზე მეტს არ დაიშვება შეფასების პროცესზე. გეგმიური განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი (არ დადასტურდა) შედეგის მიღების შემთხვევაში ან არგამოცხადების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასებაზე სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დამატებითი გადასახადის გარეშე. განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი (არ დადასტურდა) შედეგის მიღების შემთხვევაში ან არგამოცხადების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის მეორე განმეორებითი შეფასება. განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი (არ დადასტურდა) შედეგის მიღების შემთხვევაში ან არგამოცხადების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, აკადემიური დირექტორი განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში, სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას მეორე განმეორებითი შეფასების დანიშვნის, ან არდანიშვნის თაობაზე. მეორე განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში ან არგამოცხადების შემთხვევაში, სტუდენტს მოდული ათვისებულად ჩაეთვლება იმ შემთხვევაში, თუ განმეორებით გაივლის ამ მოდულს ან დაუდასტურებელ სწავლის შედეგს/შედეგებს და მიიღებს დადებით შეფასებას (დადასტურდა). აღნიშნული და სხვა წესები, რომლებიც დოკუმენტით არის განსაზღვრული, სრულად შეესაბამება პროფესიულ განათლებაში არსებულ შეფასების სისტემას.

პროფესიული/სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებას აწარმოებს მასწავლებელი ან შეფასების კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტი, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის საერთო ფორმას (რომელშიც გაწერილია ყველა სავალდებულო ინფორმაცია ინსტრუმენტის შესახებ) ამტკიცებს დირექტორი. იმ პრაქტიკული სწავლის შედეგების შეფასებისას, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, მოდულების შეფასების ინსტრუმენტად და მტკიცებულებად, ტრადიციული ინსტრუმენტების ალტერნატივად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ დეტალურად შევსებული და მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერების ჟურნალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში განსაზღვრულია ასევე სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი, რომლის თანახმად, შეფასებამდე ინსტრუმენტი გადის ვალიდაციის პროცესს, რომელსაც ხელმძღვანელობს სასწავლო მენეჯერი. იგი ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობას და მეთოდოლოგიურ კონსულტირებას უწევს მასწავლებელს. პროფესიული განათლების მასწავლებლი მოდულის დაწყებამდე ორი კვირით ადრე სასწავლო მენეჯერს შესათანხმებლად წარუდგენს სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტს/ებს ან უკვე არსებულ ინსტრუმენში შესატან ცვლილების პროექტს. ვალიდაციის პროცესში სასწავლო მენეჯერთან ერთად მონაწილეობს შესაბამისი მოდულის დარგის მასწავლებელი/სპეციალისტი, რომელიც ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობას შინაარსობრივი მიმართულებით. სასწავლო მენეჯერთან შეთანხმებული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტი ინახება კოლეჯის ერთიან ელექტრონულ საცავში ან პროგრამის პორტფოლიოში. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემულია რეკომენდაციები.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები.

„საქართველოს განათლების“ პროფესიული პროგრამის ფრგლებში კოლეჯში ჩატარებულია საკვალიფიკაციო გამოცდები. რომელიც კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის დაცვით არის ორგანიზებული. კოლეჯმა წარმოადგინა საკვალიფიკაციო კომისიის ოქმი, რომლის თანხმად დგინდება, რომ გამოცდები 2 ჯგუფთან (პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდა 2020 წლის 30 სექტემბრის N57 ბრძანებით) ჩატარდა 2023 წლის 22 მარტს და 23 მარტს, ხოლო განმეორებითი გამოცდა ჩატარდა 31 მარტს. გამოცდაზე დაიშვნენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებსაც დადებითად ჰქონდათ დადასტურებული ყველა კლინიკური და შემაჯამებელი მოდული და რომლებმაც წარმოადგინეს შესაბამისად შევსებული და ინსტრუქტორის მიერ ხელმოწერილი პრაქტიკის ჟურნალი. კომისიის შემადგენლობა დამტკიცდა დირექტორის 2023 წლის 22 თებერვლის N1645 ბრძანებით (ცვლილება შევიდა N2818 წლის ბრძანებით). კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: საქართველო განათლების პროგრამის ხელმძღვანელი, პარტნიორი ორგანიზაციის (ავერსის კლინიკა) წარმომადგენელი და პარტნიორი ორგანიზაციის (ჯეოჰოსპიტალი) წარმომადგენელი. როგორც ოქმიდან ირკვევა, საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტები შემუშავდა კოლეჯის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კომისიის წევრების ჩართულობით. შეფასების ინსტრუმენტის ფორმატად განისაზღვრა კომბინირებული ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარების შეფასებას.

როგორც ოქმიდან ირკვევა, რაც ასევე დაგვიდასტურა კოლეჯის დირექტორმა, ძირითად გამოცდაზე გავიდა სულ 27 პროფესიული სტუდენტი (3 სტუდენტი არ გამოცხადდა გამოცდაზე), რომელთაგან დადებითი შედეგი დაადასტურა 22 სტუდენტმა, ხოლო 5 სტუდენტი შეფასდა უაროფითად. 2023 წლის 31 მარტის განმეორებით გამოცდაზე გამოცხადდა ყველა ის სტუდენტი, ვინც ძირითადი გამოცდის დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერ მიიღი დადებითი შეფასება, ან არ გამოცხადდა გამოცდაზე. განმეორებით გამოცდაზე დადებითი შედეგი დაადასტურა 7-მა, ხოლო უაროფითი 1-მა სტუდენტმა. კოლეჯმა წარმოადგინა ასევე გამოცდის შედეგების აღრიცხვის ფურცლები.

გამოცდის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება სტუდენტებს ეცნობათ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა, საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცა დირექტორის ბრძანება სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, რომელიც აისახა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონული მართვის ბაზაში. მათ ვისაც მიენიჭათ კვალიფიკაცია, გადაეცათ ამ კვალიფიაკციის დამდასტურებელი დიპლომი და დანართი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

ინდიკატორი 2.4.2.1.შესაბამისობაშია.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

კოლეჯს შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომელთა გათვალისწინებითაც ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესს. კოლეჯში შიდა ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების გამოთხოვა/შესწავლა/შეფასება, შეფასების პროცესის შეფასება, დასკვნის მომზადება, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) და ა.შ). დამატებითი საქმიანობა - კოლეჯის შეფასების სისტემის ნაწილის - კვალიფიკაციის მინიჭების პროცესების მონიტორინგი.

კოლეჯის მიერ შემუშავებული მექანიზმებით, განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, რისკების სისტემა, რისკების რეესტრი, ვერიფიკაციის ჯგუფის ამოცანები, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები და მათი ფუნქციები, შიდა ვერიფიკაციის პროცესის მახასიათებლები, შიდა ვერიფიკაციის პროცესის ფაზები, შიდა ვერიფიკაციის შერჩევის სტრატეგია, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმები სხვადასხვა მიმართულებით, სამოქმედო გეგმის ჩარჩოს და კვალიფიკაციის მინიჭების პროცესების მონიტორინგის აქტის ფორმები. განსაზღვრულია ასევე, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების, სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც დოკუმენტის შესწავლით და შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, შპს მარნეულის კოლეჯის ვერიფიკაციის ჯგუფის შეთანხმებით, შიდა ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს სამ ფაზას მიმართულებების მიხედვით: 1 ფაზა - შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია; 2 ფაზა - შეფასების პროცესის ვერიფიკაცია; 3 ფაზა - სტუდენტის მტკიცებულებების ვერიფიკაცია; შემოწმების სამი ფაზა უზრუნველყოფს შიდა შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის მიღწევას. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად, კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მოქმედების დასაწყისში, ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც მოიცავს რისკების სისტემიდან, რისკების გარემოებების შესაბამისად შერჩეულ მოდულებს, ანაწილებს შიდა ვერიფიკატორებს და შეარჩევს თითოეული მოდულის შემთხვევაში დარგის სპეციალისტს. შიდა ვერიფიკატორები ანუ შემსრულებლები არიან ჯგუფის წევრები (ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი და სპეციალისტი) და თითოეულ მათგანს ვერიფიკაციის პროცესში დახმარებას უწევს იმ დარგის სპეციალისტი, რომელი მოდულიც გადის ვერიფიკაციის პროცესს. მკაცრად არის განსაზღვრული, რომ დარგის სპეციალისტი არ უნდა იყოს სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის შექმნაში და მისი ვალიდაციის პროცესში მონაწილე პირი.

ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი შესრულებული სამუშაოს კორდინაციის და ვერიფიკაციის დასკვნების განხილვის მიზნით სამუშაო შეხვედრებს ატარებს თვეში ერთხელ ან საჭიროების მიხედვით. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებები აისახება შეხვედრის ოქმში. შიდა ვერიფიკატორი მტკიცებულებებზე დაყრდნობით წერს დასკვნას - პროფესიული სტუდენტების შეფასების სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის შესახებ, სადაც იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი დასკვნის განხილვის საფუძველზე ახდენს ხარვეზის იდენტიფიცირებას. საჭიროების შემთხვევაში, იდენტიფიცირებული ხარვეზიდან გამომდინარე ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და განსახილველად უგზავნის აკადემიურ დირექტორს. საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ადგენს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, რომლის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად.

შპს მარნეულის კოლეჯის ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფი 2020 წლიდან ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესებს, მისი ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები არიან ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და სპეციალისტები. კოლეჯში განსაზღვრულია პრიორიტეტული რისკ-ფაქტორები: დამწყები მასწავლებლის ფაქტორი (მათ შორის: პირი, რომელსაც მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება აქვს პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის); პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება;ქართული ენის მოდული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა 2022 და 2023 წელს განხორციელებული ვერიფიკაციის ანგარიშები, რითაც ირკვევა, რომ პროცესი განხორციელებულია ვერიფიკაციის მექანიზმის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის მიერ, რისკების სისტემიდან შერჩეულია სამოქმედო წლისთვის პრიორიტეტული რისკ-ფაქტორები: დამწყები მასწავლებლის ფაქტორი (მათ შორის: პირი, რომელსაც მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება აქვს პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის) და პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება. ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფი შეხვედრებს ატარებდა ყოველი თვის ბოლოს, რომლის დროსაც ვერიფიკაციის დასკვნების განხილვის შედეგად ჯგუფის წევრებს შორის ხორციელდებოდა შეთანხმება გამოლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის ყველა შეხვედრა გაფორმებული არის შესაბამისი ოქმით და ინახება ხარისხის მართვის სამსახურის შიდა დოკუმენტბრუნვის საქაღალდეში შეხვედრებზე განხილული და შეთანხმებული დასკვნებით. ვერიფიკაციის პროცესების შესახებ, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ. ხდებოდა ვერიფიკაციის პროცესების შესახებ კოლეჯის დირექტორის ინფორმირება მოხსენებითი ბარათის საშუალებით. მას აცნობებოდა ყველა ის გარემოება თუ ხარვეზი, რაზეც კონკრეტულ კვარტალში ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფმა იმუშავა და შეთანხმდა. ვერიფიკაციის დასკვნების განხილვისა და სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებების საფუძველზე, შპს მარნეულის კოლეჯში შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი გამოსცემს რეკომენდაციებს, რასაც კოლეჯი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი ყველა მოდულის ფარგლებში სტუდენტების შეფასების პროცესების დროს.

2023 წელს საექთნო განათლების ფარგლებში ვერიფიკაცია განხორციელდა საექთნო განათლების მოდულებზეც. ვერიფიკაციის საგანი გახდა ვერიფიკაციის მექანიზმის რისკების რეესტრის მიხედვით - მესამე გარემოება „პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით) და პირველი გარემოება „დამწყები მასწავლებლის ფაქტორი (მათ შორის: პირი, რომელსაც მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება აქვს პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის);

ეს მოდულები და შედეგები გახლავთ:

1. საექთნო განათლება/გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები/ სწავლის შედეგები: პირველადი დახმარების განმარტება, გარდა ტრავმებისა, პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ დონეზე, საველე, ჰოსპიტალურ დონეზე, მასობრივი შემთხვევის დროს ტრიაჟის განმარტება.

2. საექთნო განათლება/ მიკრობიოლოგია/ სწავლის შედეგი: 1. მიკრობიოლოგიის ძირითადი პრინციპების აღწერა. სწავლის შედეგი: 2. მიკრობიოლოგიური და სეროლოგიური, დიაგნოსტიკის, იმუნური სისტემის პათოლოგიების, იმუნოპროფილაქტიკის და იმუნოთერაპიის საკითხების აღწერა. სწავლის შედეგი 3. ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ბაქტერიების აღწერა. შედეგი 4. ვირუსული ინფექციების მექანიზმების აღწერა; შედეგი: 5. სოკოვანი ინფექციური პროცესების ფუნდამენტური საკითხების აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები/ სწავლის შედეგები: 1. გადაუდებელი პაციენტის პრეჰოსპიტალურ დონეზე საექთნო მართვის განმარტება; 2. პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ დონეზე ტრავმების დროს პირველადი დახმარების განმარტება.
4. სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები/შედეგი 1. ანტენატალური ინტანატალური და პოსტნატალური მართვის სისტემის განმარტება; შედეგი 2. მაღალი რისკის ორსულის და მშობიარობის მართვის პრინციპების განმარტება; შედეგი 3. პოსტნატალური პერიოდის გართულებებისა და მაღალი რისკის ახალშობილების შეფასებისა და მართვის პრინციპების აღწერა.

ვერიფიკაციის ოქმებში აღწერილი პროცედურები სრულად შეესაბამება კოლეჯის მიერ განსაზღვრულ წესებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერიფიკაციის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე, კოლეჯში მყისიერად მიმდინარეობს მუშაობა მათი აღმოფხვრის მიზნით, რაც დადასტურდა დირექტორთან და შესაბამის პირებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი ანგარიშებით.
ინდიკატორი 2.4.2.2.შესაბამისობაშია.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს. შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ. სამი წლის შემდეგ დირექტორის ბრძანებით დგება მტკიცებულებების განადგურების კომისია, რომელიც ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს შესაბამისი ოქმით, ოქმში იწერება: პროგრამის სახელწოდება, სტუდენტების სახელობითი სია, განადგურების თარიღი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/-მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.
ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

შპს მარნეულის კოლეჯში, პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა და სხვა.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირტექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით დამტკიცებული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- კოლეჯსა და პარტნიორ სამედიცინო კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N54 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმით;
- კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	
პროფესიული განათლების დონე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	
პროგრამის განხორციელების ენა	
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

49 გვერდი

22.04.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: